საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского народных депутатов

№95 (6321) ხუთშაბათი 9 აგვისტო 1990 წელი ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს ვთავაზობთ:

*ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 75 წლის-თავის გამო

*გონიერებით, ოფლით და შრომით

* გალი მუშაობს... ბავშვების გარეშე

მე-2 გვ.

* წერილი გულისტკივილით იწერება...

* ესენი გვარცხვენენ

მე-3 გვ.

* ასტროლოგი უწინასწარმეტყველებს... გარდაქმნას

მე-3-მე-4 გვ.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში

7 აგვისტოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, წარმოება-დაწესებულებათა და რაიონში არსებული კოოპერატივების ხელმძღვანელები, სხვა აქტივი.

თათბირზე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ი. სვანიძემ ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების გაძლიერებულ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის შესახებ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილმა უაღრესად დაძაბულმა საზოგადოებრივ - პოლიტიკურმა ვითარებამ ჩვენს რაიონშიც გამოიწვია სახალხო მეურნეობის დარგების ეფექტიანობის დაქვეითება, უპასუხისმგებლობისა და განუკითხაობის პირობების შექმნა, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის მოშლა. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არ შესრულდა 7 თვის გეგმები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მიმართებით ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, ავტოსატრანსორტო საწარმოში, სასურსათო კომბინატში, №23 საგზაო სამმართველოში. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო გეგმებს ასრულებს კოოპერატივების ხარჯზე, ხოლო საკუთარ მომსახურებაში გეგმები ვერ შეასრულა. რაიონში შექმნილმა კოოპერატივებმა ივლისის თვეში ბანკში შეიტანეს მხოლოდ 2 ათასი მანეთი. არ სრულდება რაიონში ჯართის დამზადების გეგმა.

თათბირზე ინფორმაციებით, წინადადებებითა და შენიშვნებით გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კ. ხეცურიანი, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ზ. ბენიძე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსი ზ. მუშკუდიანი, დამზადების რაიონული გაერთიანების დირექტორი ნ. სალინაძე, სასურსათო კომბინატის დირექტორი ჟ. კუხალაშვილი, დაზღვევის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ჯ. ჩიკვაიძე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ხვადაგიანი, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ჭაბუკიანი, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექტორი ვ. დარახველიძე, საფინანსო განყოფილების გამგე რ. კოპალიანი, რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი მ. თოთაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის განვითარებისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ა. კვირკაშვილი, ადგილობრივი რესურსების დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის კოოპერატივ „ცაგერის" თავმჯდომარე ს. ყურაშვილი.

ითქვა, რომ მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებისა საწვავის მომარაგების საქმეში მდგომარეობა უცვლელია, რაც ძალზე აფერხებს ტრანსპორტის გამოყენებას, წარმოშობს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას და სერიოზულ შეშფოთებას.

საზოგადოებრივ -პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის, ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების აპარატების გაძლიერებულ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, მთელი მათი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების ძირეული შეცვლა არსებული პირობების შესაბამისად.

საჭიროა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ტრანსპორტი, ქმედითი დახმარება გაუწიონ დამზადების გაერთიანებას ხილის მიღება-გადაზიდვაში. სადღეისო ამოცანაა მრეწველობის დარგების ეფექტიანობის გაზრდა, სამშენებლო კომპლექსის მუშაობის სრულყოფა, სახალხო მეურნეობის ფინანსური ვითარების რეგულირება, მოსახლეობის სურსათით შეუფერხებელი მომარაგება. აღინიშნა, რომ 1991 წლისათვის არ იქნება ცენტრალიზებული უზრუნველყოფა საწვავისა თუ სხვა მასალების მიწოდებაში, ამიტომ საჭიროა თითოეულმა ორგანიზაციამ იზრუნოს ხელშეკრულებების გაფორმებაზე მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებსა და ორგანიზაციებთან.

ამასთანავე თათბირზე განხილულ იქნა სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვის, იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ". ითქვა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობაში დაგროვილი დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი ქმნის მძიმე დანაშაულობათა ჩადენის შესაძლებლობებს, მით უფრო, რომ ხშირად ეს იარაღი დამნაშავე ელემენტების ხელშია, ახლა საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, რათა ამოღებულ იქნას იგი. თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, რომ იგი საიმედოდაა დაცული.

თათბირზე ითქვა იმის შესახებაც, რომ რამდენიმე დღეა, რაც გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონპროექტის სამი ვარიანტი, რომლებსაც უკვე ეცნობა საზოგადოება.

კანონპროექტთა ცალკეულ მუხლებზე უნდა გაიმართოს ფართო სჯა-ბაასი, კამათი, საჭიროა შრომით კოლექტივებში შეფასდეს ეს დოკუმენტები, ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, შენიშვნა, წინადადება.

თათბირის მუშაობას გასდევდა საერთო აზრი იმის შესახებ, რომ დღეს, როგორც არასდროს საჭიროა გონივრული მოქმედება, ერთმანეთის თანადგომა იმ მიზნის მიღწევაში, რასაც დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველო ჰქვია.

გლეხურ მეურნეობაზე გადადიან

გაიმართა ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა საერთო კრება დღის წესრიგით: ცაგერის სახალხო დეპუტატთა მე-20 მოწვევის რაიონული საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილების „რაიონში გლეხური მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კრების მონაწილეებს კოლმეურნეობაში გლეხური მეურნეობის უპირატესი განვითარების შესახებ ესაუბრა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ მერუნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის რაიონული კომისიის თავმჯდომარე, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ი. სვანიძე.

ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობების განვითარების შესახებ დროებითი დებულება გააცნო რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ კ. ხეცურიანმა.

ღია კენჭისყრით კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეობის ნაცვლად ლაილაშის კოლმეურნეობაში შემავალ სოფლებში შეიქმნას გლეხური მეურნეობები.

კრებამ აირჩია კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის კომისია ყველა სოფლის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჩვენი დღეების ადამიანები

მარჯვენა დაგელოცოს!

იგი ადრეულ ასაკში შეება ცხოვრების უღელში, კვალში გამყოლიაო, ასეთ ახალგაზრდებზე იტყვიან. მიწისა და შრომის სიყვარული ჯიშად მოსდგამს, უყვარს მამა-პაპის ფუძე და მისი დოვლათით ხარობს.

ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნის, ელგუჯა ახვლედიანის შრომითი ბიოგრაფია ერთი ჩვეულებრივი, სინდისის და პატიოსნების, საქმის ერთგული ახალგაზრდის გზაა, და მაინც ბევრისგან გამორჩეული, ყოველგვარი ხმაურის გარეშე რომ აკეთებს თავის საქმეს, ქვეყნის მარჩენალი მიწის პატრონობა უპირველეს მოვალეობად რომ გაუხდია.

იჯარულ შრომაზე დაიწყო თუ არა ლაპარაკი, ერთ-ერთმა პირველმა გააფორმა ხელშეკრულება, მოსავლელად 0,5 ჰექტარი ყანა და 0,1 ჰექტარი ზვარი გაიპიროვნა. ორივეს ახალგაზრდული მარჯვენა შეაშველა და ურიგო მოსავალი როდი მიიღო. საკუთარი ბეღელიც აავსო და საზოგადოებრივ დოვლათს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდისა და ლობიოს მოსავლის პირადი წვლილიც შემატა.

მიმდინარე სამეურნეო წელი მეტი შემართებით დაიწყო. ახლა უნდა ნახოთ მისი ყანა და ზვარი, ახალგაზრდა კაცის მარჯვენის ძალა რომ ზედ ატყვია. მზის სხივებზე ლურჯად ლივლივებს ოთხჯერ ბორდოს სითხით შეწამლული ვენახი, ორჯერ გათოხნილი განოყიერებული თავაყრილი ყანა.—მიწა თვითონ გასწავლის, როდის უნდა შველაო,—ხშირად იტყვის ახალგაზრდა მეურნე.

ამასთან ერთად ოჯახმა აბრეშუმის მური გამოკვება და პირადი გეგმა სამმაგად შეასრულა. მცირეწლოვანი შვილების დედას თუთის გადმოჭრაში და დამზადებაშიც ეშველებოდა.

ახლა საკარმიდამო მეურნეობას ხომ მოვლა უნდა. ძლიერი კარმიდამო, მარტო პირადი როდია, იგი ქვეყნის ძლიერების წყაროცაა.

ივლისი და აგვისტო საკვების დამზადების ცხარე პერიოდია. ელგუჯა საუკეთესო მთიბავიცაა. შარშან 12 ტონა თივა დაამზადა. ახლა მისი გადაწყვეტილება 15 ტონის დამზადებაა.

ორი შვილის მამა სახვალიო ფიქრში ათენ-აღამებს, ჩვენც სოფლის ასეთ ახალგაზრდებს გვინდა დავულოცოთ მარჯვენა.

ბ. ბაქრაძე.

ვაჟა — ფშაველა

გარდაცვალებიდან 75 წლისთავის გამო

9 აგვისტოს 75 წელი სრულდება დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან ნაადრევად გამოაკლდა იგი ქართული მხატვრული ლიტერატურის მოამაგეთა რიგებს. 75 ტკივილიანი წელი გვაშორებს იმ საყვარელ პოეტს, რომლის ამაყი სული და წრფელი გული საქართველოს სიყვარულში ჩაიფერფლა.

• • •

1861 წლის 26 ივლისს, საქართველოს ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეში—ფშავში, მღვდლის პავლე რაზიკაშვილის ოჯახში დაიბადა ვაჟი—ლუკა რაზიკაშვილი, საქართველოს მომავალი დიდი პოეტი, ილიას და აკაკის გზის ღირსეული გამგრძელებელი. დაბადებიდან ქუდბედად დაჰყვა საოცარი ნიჭი ბუნების შეცნობის და სიყვარულისა. გაჭირვებით ცხოვრობდა. საკმაო განათლების მიღებაც ვერ შეძლო. 22 წლის ჭაბუკი პეტერბურგიდან ზაქარია ჭიჭინაძეს სწერდა: „უნივერსიტეტში ლექციების სმენის ნება მომცეს. ვზივარ და ვზეპირობ ლექციებს, თუ სურსათი არ შემომელია, მეტი გამარჯვება ჯერჯერობით არ მინდა". მაგრამ ვაჟას სწორედ „სურსათი შემოელია" და იძულებული გახდა სოფელში დაბრუნებულიყო. არც აქ ჰქონია დალხენილი ცხოვრება: მასწავლებლობდა სოფლის სკოლებში, შემდეგ საკუთარ სოფელში დაბრუნდა. თვითონ ხნავდა, თესავდა, მკიდა, ლეწავდა, წისქვილში ფქვავდა—ვაჟა-ფშაველა. სოფლიდან თბილისში ლექსების ჩასატანი ფული უჭირდა, რიგიანი ჩოხაც არ ჰქონდა. როცა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით პოეტს იუბილე გადაუხადეს, ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ თავისი შეგროვილი ფულით შეუკერა ჩოხა. მიუხედავად სასტიკი გაჭირვებისა, მთის ამაყი შვილი მაინც არავის არაფერს სთხოვდა „მე არსაიდან არაფერს ვილებ და ჩემის მარჯვენის, მიწის და ოფლის ანაბარად ვარ დარჩენილი".

უბედურება დაატყდა ჭარმაგ ვაჟას: დაუობლდა ოთხი პატარა შვილი და ისინი ყოველმხრივ მისი მოსავლელი აღმოჩნდნენ. მაგრამ მთის ამაყი შვილის უდრეკი სული არავითარ გაჭირვებას არ შეეძლო გაეტეხა. იგი ქოხში ცხოვრობდა, სანახევროდ ბნელ ქოხში, ხანდახან ნავთის შეძენის თავიც არ ჰქონდა და ხშირად ბუხარში შეყრილი ფიჩხის შუქზე იქმნებოდა მისი უკვდავი და განუმეორებელი ქმნილებები: „დამსეტყვე ცაო," „ია", „ქუჩი", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი" და სხვა. მის პოეზიაში ყველაფერი ცოცხლობდა, იბრძოდა, ოცნებობდა. ის რაც მაგრამ რამდენი რამის გაკეთება ვერ შეძლო ვაჟამ ამ გზაზე თავისი დუხჭირი ცხოვრების გამო, იმ მინიმალური პირობების არ არსებობის გამო, რაც ხელოვან კაცს ჰაერივით ეჭირვება. „ღმერთო სამშობლო მიცოცხლეო", ჩვეულებრივ კაცს მიაჩნდა ყოველგვარ გრძნობას მოკლებულად, ეს მზე-კაცი მასში სიცოცხლეს ხედავდა, მისი მაჯისცემა ესმოდა. ბუნების ფიქრი, მისი აზრი, მისი სევდა, ღიმილი, მხიარულება და ტირილი ვაჟამ უცნაურად შეათვისებინა თავის მკითხველს. მისი ხმელი წიფელი, საბრალო ია, უბრალო ქუჩი, შვლის ნუკრი, ამაყად მდგარი მთები, ალუდა ქეთელაური, ლელა და ლუხუმი განუმეორებელ სურათებს ქმნიან ზღაპრული ბუნების და ამაყი ქართული სულისას, ვაჟა მთელი სულით და გულით, ფიქრით, ოცნებით და სინამდვილით ემსახურებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურის გაღრმავება-განვითარებას, ამიტომაც განაცხადა ილიამ: „ახლა ჩვენ, ძველებმა, კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთ".

მაინც ამის ნატვრაში იყო, სწყუროდა ლაღი, თავისუფალი, განახლებული ცხოვრება, ძველის სიდიადით გაბრწყინებული, ახლის სულითა და აზრით გაცისკროვნებული, იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. გრძნობდა, რომ სჭირდებოდა ერს, ქვეყანას, და ეს ასულდგმულებდა, კვებავდა მთის არწივს:

„მადლობელი ვარ დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც
უნდა".

ჯერ კიდევ იმ ასაკში, როცა მრავალი საგულისხმო და მნიშვნელოვანის შექმნა შეეძლო, ძალა და მხატვრული ენერგია მოზღვავებული ჰქონდა განგებამ სასიკვდილოდ მიაჯვა სარეცელს, ბედის ირონია იყო აბა რა, [illegible] ასეთი დასასრული, თითქოს წინასწარ [illegible], რომ სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა წუთისოფელს, ბუნებას, რომლითაც ცოცხლობდა, სუნთქავდა, რომლის მეგობარი და უტყვი მესაიდუმლე იყო, საავადმყოფოში მომვლელ ქალს ბალახები და ფოთლები მოატანინა, ოთახში იატაკზე და ფანჯრის რაფაზე მოაფენინა, ნაზად გადაუსვა აკანკალებული ხელი, ხარბად შეისუნთქა ამ პატარა სამყაროს მოყოლილი ბუნების ნაზი სურნელი, შემდეგ თავის ზვიად და გულმაგარ მთებს თვალი გაუსწორა და ჩამავალი მზის სხივების ცქერაში დალია სული. გარდაიცვალა 54 წლისა, ჯერ კიდევ შემოქმედებითი აღმავლობის დროს. მისი ამაყი მთები კი დგანან და ელიან მთის არწივის დაბრუნებას, „დგანან და ელიან... უსაზღვროა მთების მოლოდინი".

მადონა მახარობლიძე,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი.

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპის წინ

ადამიანებს სათქმელი დაუგროვდათ. მადლობა ღმერთს, დადგა დრო, რომ სიტყვას აქვს ასე თუ ისე თავისუფლება. თითოეულ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს აღელვებს დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს ბედი. ამიტომ რედაქციაში მოდის სხვადასხვა მოსაზრება სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ზნეობრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. რა იმედებს ვამყარებთ საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპზე, კერძოდ, რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის თაობაზე.

ამიტომ რედაქცია არ ზღუდავს ვინმეს მოსაზრებას, პირიქით, ვბეჭდავთ რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებს, რადგან სწორედ ამ კამათსა და გულახდილ სჯა-ბაასში დავინახავთ წინსვლის გზას, საქართველოს უკეთეს ხვალინდელობას.

გონიერებით, ოფლით და შრომით

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის მეორე ეტაპზე დიდ იმედებს ვამყარებთ, ვფიქრობ მივაღწევთ რესპუბლიკის კომპარტიის დამოუკიდებლობას, რაც მრავალ პრობლემურ საკითხს გადაწყვეტს.

მაგრამ ჯერ მინდა შევეხო სკკპ 28-ე ყრილობას. ყრილობაზე დიდი შეხლა-შემოხლა იყო, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა საღმა აზრმა, დემოკრატიამ. ამას მსოფლიო პრესა აღიარებს, და იმასაც უმატებს, რომ კომპარტიის ერთმმართველობა დამთავრდა ამ ყრილობაზე, მომდევნო ყრილობაზე იგი იქნება მხოლოდ ერთ-ერთი მრავალ პარტიათა შორის, ყოველგვარი პრივილეგიის გარეშე.

დასამალი არ არის, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკა ფოკუსშია. ასეთი დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება არ არის არსად. ადამიანები შეშფოთებულნი არიან. ბევრი ითქვა, რომ 70 წლიანმა სოციალიზმის პრაქტიკამ, შეცდომებმა თუ მექრთამეობამ, სანამდე მიგვიყვანა, გავიგეთ და დავგმეთ წარსული, მაგრამ ხომ უნდა გავიხედოთ მომავალში. არა მგონია გაუთავებელი დავითა და წარსულის ჩხრეკით მივაღწიოთ რამეს. ბოლოსდაბოლოს მიმოვიხედოთ ირგვლივ, ამდენი დანაშაული, სისხლისღვრა, ურთიერთგაუტანლობა, უკანონობა ნორმად იქცა. ადამიანებს სიმშვიდე ენატრებათ, საპონი, შაქარი, ნავთი, ძეხვი, სიგარეტი, არ ეშოვებათ. ვინც ხელი მოითბო და აქვს საშუალება, ღმერთმა იცის რა გზით (აბა, მაქსიმალური ხელფასის მქონე ადამიანი არა მგონია მინიმალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდეს) კოოპერატივები სოკოებივით მომრავლდა. კოოპერატივი მესმის, რომელიც რაღაცას აწარმოებს, შექმნის და გაყიდის, მაგრამ სახელმწიფოსაგან რომ თავის ფასში იძენს ნედლეულს და მერე მის დამზადებულ პროდუქციას მამასისხლად გაძლევს, მართლაც რომ განუკითხაობაა.

დღეს მოდად იქცა ყველა ნაკლი და შეცდომა ცენტრს, სისტემას დავაბრალოთ. ცოდვები მათ თვიანთიც ეყოფათ, მაგრამ ბევრი ნაკლი და მიზეზი საკუთარ თავშიც უნდა ვეძიოთ. სხვის თვალში ბეწვის დანახვა ადვილია.

ახლა რომ უდისციპლინობაა ადგილებზე, ასეთი არც ერთ პერიოდს არ ახსოვს. სოფელი ავიღოთ. ვინ ვის მოერევა და ვისაც მეტი შესაძლებლობა აქვს, მიწაც მისია, არაფრის მქონე და შედარებით მორიდებული გვერდზე დარჩა, თუ ხმა აღიმაღლა, არავინ იცავს.

ავიღოთ სამედიცინო ინსტიტუტში დაწრიალებული მოვლენები. ჩვენი შვილები რატომ მოითხოვენ იოლი გზით დაუმსახურებლად სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრას? დანაშაული ისაა, რომ ასე განუკითხავად ჩაირიცხა მსურველთა მთელი კონტიგენტი მოსამზადებელ განყოფილებაზე. ახლა დანაშაულს დანაშაული დავუმატოთ და ყველა ჩავრიცხოთ ინსტიტუტში უგამოცდოდ?—გაუგონარი მოთხოვნაა.

პრობლემები ისედაც ბევრი გვაქვს და იმას მივხედოთ. უკანონო ქმედებით კი არა, ოფლით, შრომით, სწავლით უნდა მოვიპოვოთ უკეთესი მომავალი.

ნ. ზერაძე,
საფინანსო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ბაღი მუშაობს... ბავშვების გარეშე

წიფერჩის რეგიონის დედები პატარებს ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღში ატარებდნენ. ეს ვისაც ასე თუ ისე, ჰქონდა ამის საშუალება. დანარჩენებისათვის ოცნება იყო სოფელში ბაგა-ბაღი. როგორც იქნა გადაწყდა აქაურ მშრომელთა მრავალი წლის მანძილზე დასმული პრობლემა, წიფერჩის კოლმეურნეობის კლუბკანტორის საჭირო ფართი საბავშვო ბაღს დაეთმო. ეს იყო 2 თვის წინ. დამტკიცდა შტატები, დაიწერა ბრძანებები, გაიხსნა ბაღი.

წიფერჩის კოლმეურნეობაში სხვა საქმეზე მისულებს დაგვებადა აზრი შეგვევლო ახალ ბაღში, თვალი გადაგვევლო პატარებისათვის, ხომ არაფერი აკლიათ ან აწუხებთ ახალმოსახლეებს.

არც მეტი, არც ნაკლები, კურიოზულ ფაქტს წავაწყდით. დღის 3-4 საათისათვის ბაღში სრული სიჩუმე იყო. არც ერთი აღსაზრდელი არ დაგვიხვდა. პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი კი მასპინძლური გულით შეგვხვდა, მაგრამ...

რა მოხდა?

ბაღის გამგე ნუნუ მუშკუდიანთან და სხვებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ბაღი ფაქტიურად არ მუშაობს იმ გაგებით, რომ პატარებს ვერ იღებენ, თუ მიიღებენ, სადილობისას უკან, სახლში გზავნიან.

ბაღში, რაც მთავარზე მთავარია, არ არის ელექტროშუქი. გაყვანილობა დაუმონტაჟებიათ, მაგრამ რაღაც დეფექტის გამო გამორთულია, ბაღს არა აქვს მაცივარი.

დანარჩენი ინვენტარი—თეთრეული, სკამები, ჭურჭელი თუ სხვა, დიდის წვალებით შეუძენიათ.

მუსიკის დარბაზში არ არის ინსტრუმენტი, არ აქვთ ტელევიზორი. ამათ, ასე თუ ისე, მოევლება, მაგრამ ბაღმა შეიძლება იმუშაოს მაცივრისა და ელექტროენერგიის გარეშე?

კი მართალია, თხევადი გაზი არაა რეკომენდებული საბავშვო დაწესებულებაში, მაგრამ როცა ელექტროენერგია მოუწესრიგებელია, კიდეც რომ იყოს, ჩვენს პირობებში, ისიც ზამთრის პერიოდში, სანახევროდ არ არის შუქი, აუცილებელია გაზქურის შეძენა.

ბაღის გამგეს და კოლექტივს ვუსაყვედურეთ და ისევ ვსაყვედურობთ, მეტი ფხა და პრინციპულობა მართებთ, ბოლოსდაბოლოს ხელფასს იღებენ თვეების მანძილზე და რაში, ვის ემსახურებიან?

მარტო წუწუნი საქმეს არ შველის. პირველ რიგში თავად უნდა შეაწუხონ ყველა და მეორე, ნუ აღვუდგებით ხელოვნურ ბარიერებად ახალგაზრდა კოლექტივს. განათლების განყოფილება, რაიკოოპერატივი, სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობა—რომელი ერთი ჩამოვთვალო, ყველა უნდა ამოვუდგეთ გვერდში კოლექტივს, ბოლოსდაბოლოს საქმე ბავშვებს ეხება.

არც მეტი, არც ნაკლები—კურიოზია, ბაღი მუშაობს... ბავშვების გარეშე.

მ. ძნელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი რამ გტკივა, ქალაქო!

წერილი გულისტკივილით იწერება...

საერთო სატკივარზე ვწერ, თუმცა სასიხარულო მაინცდამაინც არაფერია ამ აფორიაქებულ წუთისოფელში.

ჩემი სამშობლო ჩემი კუთხიდან იწყებაო, უთქვამს პოეტს და საქართველოს პატარა კუთხის ლეჩხუმის რაიონული ცენტრის მოსახლეობის არცთუ უსაფუძვლო გულისტკივილზე გვინდა მოგითხროთ.

ვითმინეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდით თქვენთვის (რედაქციისათვის) მოგვემართა.

რას ითმენს ნეტავ ეს ხალხი?

ითმენს და მიეჩვია კიდეც ცაგერის მოსახლეობა იმას, რომ დღისით, მზისით, ყველას თვალწინ პირუტყვი ქალაქის ქუჩებში დასეირნობდეს (ავტომანქანებმა გზაც კი უნდა დაუთმონ), ღორებმა თავდაუზოგავად „იმუშაონ" ბაღებსა და სკვერებში, მოსპონ და გაანადგურონ ყველაფერი ის, რისთვისაც ამდენი გვიწვალია, გვიშრომია, გვიკეთებია, რათა სტუმრის და მასპინძლის გული ერთნაირად გაგვეხარებია, სილამაზე და სიკოხტავე არ მოკლებოდა ჩვენს პატარა ქალაქს.

მაგრამ რა?

მიუხედავად კომუნალური სამსახურის მუშაკების მრავალგზის გაფრთხილებისა, მრავალი ჯარიმისა და საყვედურისა, კვლავ გამოითქმის პრესის ფურცლებზე შეწუხებული მოსახლეობის ჩივილი: კარი ღია ვერ დაგვიტოვებია, დღისით ქუჩაში გამვლელი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ღორი და ძროხა გვხვდება უმოწყალოდ, რომ ანადგურებენ ნარგავებს და აბინძურებენ ქალაქსო.

საყვედური ბევრია.

გამოსავალი კი—ერთი (რომელიც თვითონ ხალხმა იპოვა).

„რაკი კომუნალური მეურნეობა ისევ ერიდება საქონლის პატრონებს, ჩვენ ჩავაბარებთ დამამზადებელ ორგანიზაციებს".

ეს სიტყვები უბრალო ქადილი არ არის. ეს შეწუხებული და შეძრწუნებული ხალხის ჩივილია, რომელსაც შესრულება უცილობლად უწერია.

რატომ ვერიდებით იმ მოქალაქეთა გვარების დასახელებას, ვისი პირუტყვიც ასე აბინძურებს და აჩანაგებს ქალაქის ქუჩებსა და ბაღებს? ალბათ ამას კეთილი განზრახვით ვაკეთებთ, მაგრამ მათი დამზადების ორგანიზაციებზე ჩაბარება კეთილ განზრახვაში თუ არ ჩაგვეთვლება, იმის დადასტურება მაინც იქნება, რომ ჯერ კიდევ ვიღაცა ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენი ქალაქი ლამაზად და სუფთად გამოიყურებოდეს.

მოგიწოდებთ, ვისთვისაც ძვირფასია ეს პატარა კუთხე, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ და თავის დროზე სიკვდილსაც აქ ვაპირებთ, ამოგვიდექით მხარში და მოვუაროთ ჩვენს პატარა ქალაქს, სიბინძურის ქარცეცხლში გახვეულს.

ნ. ასლანიკაშვილი.

ესენი გვარცხვენენ

ბევრი, როგორც ჩანს, შეეჩვია გაზეთის კრიტიკასაც, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების დირექციის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ზომას რომ თავი გავანებოთ.

ამჯერად რედაქცია თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას. ერთხელ კიდევ გაგაცნობთ იმ ადამიანებს, ვისაც ჩირის ფასადაც არ უღირთ ქალაქის კულტურა და წესრიგი, სანიტარული იერსახე, შემდეგ კი მათი პირუტყვის საფასურსაც რომ ვერ მიიღებენ.. ვნახოთ, რა ხასიათზე დადგებიან.

ქალაქში მცხოვრები პენსიონერის დავით პარიმონის ძე ყურაშვილის (რომლის მეუღლე ო. ყურაშვილი ცაგერის №1 ბაღის გამგეა), ძროხა სისტემატურად გაშვებულია ქალაქში, გაზონებსა და სკვერებში თელავს და ანადგურებს ყვავილნარს, აბინძურებს ქუჩებს, სკვერებს, ბაღს. მიუხედავად რამდენჯერმე გაფრთხილებისა, ძროხა ქალაქის ქუჩებში ყავს გაშვებული ქალაქში მცხოვრებ იზო სიმონის ასულ კალანდაძეს.

ქალაქ ცაგერში მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელოსნის ოთარ ალექსანდრეს ძე კვირკაშვილის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლის კუკური თედორეს ძე მდივნის, გურამ არჩილის ძე კოპალიანის, საზკვების გაერთიანების მუშაკის ბიჭიკო ევგენის ძე ქარსელაძის ღორები სისტემატურად ქალაქის ბაღში, სკვერებსა და გაზონებში ძოვენ ბალახს, თხრიან, აბინძურებენ ქუჩებს, ზოგჯერ საერთო საცხოვრებლების დერეფნებში, წარმოება-დაწესებულებების შენობასა და ეზოშიც კი „დასეირნობენ".

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ სოფელ ჩხუტელში მცხოვრები რაფიელ პეტრეს ძე კვირკაშვილის და დადაში ამბროსის ძე მეშველიანის უპატრონოდ გაშვებულ ძროხებს ხშირად შეხვდებით ქალაქის ბაღში, კულტურის სახლის ეზოში.

ეს მოქალაქეები რამდენჯერმე არიან გაფრთხილებული საბინაო კომუნალური მეურნეობის მრავალდარგობრივი გაერთიანების მუშაკებისაგან, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. იქნებ გაზეთში გაკიცხვამ მაინც იმოქმედოს მათზე. ამის შემდეგ კი გამოყენებული იქნება უკანასკნელი ზომა—პირუტყვის სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

ცაგერის მრავალდარგოვანი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების დირექცია ყოველ ორშაბათს მოაწვდის რედაქციას იმ მოქალაქეთა გვარსა და სახელს, რომლებიც არ გაუფრთხილდებიან პირუტყვს, რედაქცია კი არავის მოერიდება, საამკარაოზე გამოვიყვანთ ყველა იმ პიროვნებას, ვინც არ იზრუნებს ქალაქის სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის.

ფერმერთა დასახმარებლად

ლენინგრადი. საწარმოო გაერთიანება „კიროვსკიი ზავოდ"-ის ექსპერიმენტულ საამქროში იქმნება „K-20" მარკის მინი-ტრაქტორების ახალი პარტია 27 ცხენისძალიანი ეს მანქანა ფართო გამოყენებას პოვებს ფერმერებსა და მოიჯარეებს, მებაღეებს შორის. მინი-ტრაქტორი „K-20" გახდება ამ კლასის მანქანების საბაზო მოდელი. ის დაკომპლექტებული იქნება დასაკიდი მოწყობილობით.

გამოსაცდელი პარტიის დასამზადებლად გაერთიანებაში შექმნილია შემოქმედებითი კოლექტივი, რომელშიც შევიდნენ კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, ზეინკლები, მძღოლ-გამომცდელები.

სურათზე: მინი ტრაქტორი „K-20" ექსპერიმენტულ საამქროში.

საკუესის ფოტოქრონიკა.

✲ ✲

ასტროლოგიის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების მიუხედავად, მკითხველთა ინტერესი მისდამი განსაკუთრებით გაიზარდა. ბევრმა ჟურნალმა და გაზეთმა გაითვალისწინა ეს და თავის ფურცლებზე ბეჭდავენ ჰოროსკოპებს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მასალა ეხება არა კონკრეტულ ადამიანს, არამედ მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალს. ვბეჭდავთ პ. ვასილიევის („არგუმენტი ი ფაქტის" კორესპონდენტის) საუბარს საფრანგეთის ასტროლოგთა პროფკავშირის თავმჯდომარე ნადირთან.

ასტროლოგი უწინასწარმეტყველებს... გარდაქმნას

—ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ რაც ცისქვეშეთში ხდება, შეიძლება წინასწარ გამოიცნო ვარსკვლავების მიხედვით. ისეთი მოვლენაც კი როგორიც გარდაქმნაა?

—რა თქმა უნდა, ამას მოწმობს ის, რომ 1993-1994 წწ. ერთმანეთს შეხვდება ორი დიდი პლანეტა—ნეპტუნი, კომუნიზმისა და საერთოდ იდეოლოგიის სიმბოლო, და ურანი, რომელიც რევოლუციაზე ან კარდინალურ ძვრებზე მიგვითითებს.

—მაგრამ გარდაქმნა ხომ სსრ კავშირში ოფიციალურად 1985 წელს გამოცხადდა.

—ჭეშმარიტი გარდაქმნა კი მხოლოდ 1993-1994 წლებში მოხდება, აი, ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი 1922 წელს შეიქმნა და თუ ამ თარიღს ადამიანის ცხოვრების ციკლს—71-72 წელს მივუმატებთ, მივიღებთ იგივე, 1993-1994 წწ. ე. ი. ნამდვილად ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყება სწორედ ამ დროიდან. ძველი წყობილების შეცვლას, რომელიც ეხლა თქვენთან მიმდინარეობს, ქაოსამდე მივყევართ, და 71 წლიანი ციკლი სწორედ იმ ხანას ნიშნავს, როცა ქაოსი დასრულდება. გარდა ამისა, სწორედ ამ დროს თავს იჩენს ურანის გავლენა, როგორც საზოგადოების ვერტიკალური სტრუქტურის მფარველი და ჰორიზონტალურის მნგრეველი. და ერთპარტიული სისტემა—სწორედ ჰორიზონტალური სტრუქტურაა.

—თქვენ გინდათ თქვათ, რომ გარდაქმნა, რომელსაც მივყევართ მრავალპარტიულობისაკენ..

—სწორედ პლანეტა ურანის გავლენაა.

—მაპატიეთ, მაგრამ თქვენი მტკიცებანი ცოტა არ იყოს უცნაურად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, უცნაურია პლანეტის ასეთი გამორჩეული მოქმედება მხოლოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

—მე არც ვამტკიცებ რომ დიდი ცვლილებები მხოლოდ სსრ კავშირში მოხდება, არა, იგი მთელ პლანეტას შეეხება.

როგორც ცნობილია, პლანეტები —ურანი, სატურნი და იუპიტერი, რომელთაც ასტროლოგები „კოლექტიურებს" უწოდებენ, ზემოქმედებას ახდენენ პლანეტის ხალხთა კოლექტიურ არსებობაზე, ხელს უწყობენ მასობრივი შეგნების ევოლუციას, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ურანს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ამ ევოლუციის მიმდინარეობაზე.

—მაინც რა მოხდება კონკრეტულად თქვენი აზრით 1993-1994 წლებში?

—ჩვენ აღმოვჩნდებით მერწყულის თანავარსკვლავედის გავლენის ქვეშ, რომელიც ერთდროულად ქაოსისა და სინათლის სიმბოლოა. და კაცობრიობა მერწყულის თვისებებიდან ან უარყოფითს მიითვისებს და ქაოსში ჩაეფლობა, ან შეიძენს სრულიად ახალ თვისებას—საყოველთაო ზეშთაგონებას და თავისი განვითარების აქამდე უცნობ ხანაში შევა.

სწორედ ამ წლებში გამრავლდებიან იდეოლოგები. ბარიერი კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის საბოლოოდ წაიშლება. და ყველაფერი განახლდება სხვაგვარი სინათლის სხივებში. ამავე დროს იქნება აქამდე გაუგონარი ზრდა ნაციონალიზმისა და რელიგიურობისა. ხალხები იბრძოლებენ მსოფლიოში ძალთა გადანაწილებისათვის. მხოლოდ მეტად ზეშთაგონებულ მმართველებს, რომლებიც შეიცნობენ ქაოსის საფრთხის საშიშროებას, ძალების გაერთიანებით შეეძლებათ გადაარჩინონ კაცობრიობა ბოროტი საწყისისაგან.

—მაგრამ თქვენი შეფასება არ ემთხვევა ჩვენში ცნობილი წინასწარმეტყველის — მამა იოანე კრესტიანკინის აზრს რომელიც, როგორც ამბობენ, ქვეყნიერების მოახლოებულ დასასრულს წინასწარმეტყველებს და ვერ ხედავს ყოველივე სულიერის გადარჩენის გზებს.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ასტროლოგი უწინასწარმეტყველებს... გარდაქმნას

(დასასრული).

—მართლაც არიან ადამიანები, რომლებმაც გამოიანგარიშეს, რომ 2000 წლის დამდეგი სამყაროს დასასრულის, ქვეყნიერების დასასრულის დასაწყისს ნიშნავს. და თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ 1993-1994 წლებში კალიფორნიას თავს დაატყდება სტიქიური უბედურებები—მიწისძვრები, დედამიწის ქერქის რღვევა (კერძოდ, ჩემი აზრით იტალია ორ ნაწილად „გაიპრება“), მე მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ, ეს არ იქნება სიცოცხლის დასასრული დედამიწაზე, ეს იქნება ერთი სამყაროს დასასრული და მეორის დასაწყისი. მე ვთვლი, რომ რუსეთის ბედი მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული მერწყულთან.

—თქვენ გინდათ თქვათ რომ, გარდაქმნა მ. ს. გორბაჩოვს ასტროლოგების ზეგავლენის გარეშე არ დაუწყია?

—მე თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში, მითუმეტეს, რომ იგი თევზის ნიშნითაა დაბადებული. და ყველა, ვინც კი დაბადებულია იმ თანავარსკვლავედის ნიშნით, რომელთა სიმბოლო წყალთანაა დაკავშირებული, ასტროლოგიის მიმართ ძალიან მგრძნობიარენი არიან. ნენსი რეიგანს ძალიან სჯეროდა თავისი ასტროლოგის, და ვფიქრობ, ზეგავლენას ახდენდა მეუღლეზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის დროს.

რას იტყვით საფრანგეთის პრეზიდენტის შესახებ? სარგებლობს თუ არა ბატონი მიტერანი ასტროლოგის მომსახურებით. შეიძლება თქვენითაც?

—არა, ჩემით არა, მაგრამ ერთი ასტროლოგი ქალის კი!

—მითხარით, შემთხვევით, ხომ არ გიწინასწარმეტყველებიათ კატასტროფა ჩერნობილში?

—არა, მაგრამ მე 30 საათით ადრე ამერიკული „ჩელენჯერის“ დაღუპვამდე, ვიწინასწარმეტყველე რომელიღაც კოსმოსური ხომალდის მოახლოებული კატასტროფა. ამის მოწმეები მყავს.

—მოსალოდნელია, რომ ბევრი მკითხველი თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამს თქვენი პროგნოზის მიმართ, შეიძლება თაღლითიც გიწოდონ.

—კაცობრიობას ძალიან გაუვიდა თავს და ავიწყდება, რომ იგი არც მეტი, არც ნაკლები, განუყოფელი ნაწილია ცოცხლისა, როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსშიც, ე. ი. მთლიანად მოქცეულია კოსმოსური ძალების ნების ქვეშ. ნუ დაგავიწყდებათ ასევე, რომ ასტროლოგიას უკვე ექვსიათასწლიანი ისტორია აქვს და ემყარება მეცნიერულ-ასტროლოგთა უთვალავ სერიოზულ დაკვირვებებს ადამიანის არსებობის დამოკიდებულებაზე კოსმოსთან. თქვენ დღეს ხომ ვერ უარყოფთ იგივე კოსმობიოლოგიას, როგორც მეცნიერებას.

—ვნახოთ, მოვლენებამდე, რომლებსაც თქვენ გვიწინასწარმეტყველებთ, სამი წელი დარჩა.

აღდგომა და ხვალეო.

„არგუმენტი ი ფაკტი“.

გილოცავთ

ლია ვანოს ასულ ტვილდიანს
იუზა ოთარის ძე კვირკაშვილს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. საქართველოს ნამდვილი მამულიშვილი გაზრდილიყოს. მრავალ პატარას აეხმიანებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

გუჯუ მეშველიანი ოჯახით.

ელიზა მიხეილის ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, ღიმილითა და სიხარულით გაგევლოთ თქვენი ცხოვრების გზა. გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდ...ს საქმეში.

ბარლბალის საშუალო სკოლის 1990 წლის კურსდამთავრებულები.

მაია ასათიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებსა და ულევ სიხარულს

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები.

სასამართლო დარბაზიდან

■

დღეს საქართველო გასაჭირში ეკონომიკურად, მორალურად, დემოგრაფიულად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავარღვიოთ ტრადიცია, წესი, კანონი და თვითნებურად, ძალადობის გზით შევქმნათ ოჯახი.

სწორედ ასეთ მოლიპულ გზას დაადგა წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სოფელ ჩქუმში მცხოვრები, სკკპ წევრი პეტრე ვლადიმერის ძე კოპალიანი. მას სურდა ცოლად შეერთო სოფელ ალვში მცხოვრები მ. ხეცურიანი, რაზედაც იგი არ იყო თანახმა.

ქალმა როგორ დამიწუნაო, განაწყენდა პეტრე და გადაწყვიტა მისი მოტაცება, რაშიდაც გვერდში ამოუდგნენ ჩქუმელი, ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების მძღოლი ტარიელ კაკოს ძე ბენდელიანი, სოფელ ქულბაქში მცხოვრები, ნასამართლევი არველოდ აბესალომის ძე ბენდელიანი, სოფელ წიფერჩში მცხოვრები ცაგერის №23 სიგზაო სამმართველოს მძღოლი თამაზ ნიკოს ძე ყურაშვილი. მათ მოითათბირეს, რომ მიმდინარე წლის 11 აპრილს ქ. ცაგერის ცენტრალურ მოედანზე დახვედროდნენ ცაგერი-ალვის ავტობუსს, რომლითაც სოფლიდან უნდა გამოსულიყო მ. ხეცურიანი და ფიზიკური ძალადობის

ძალადობა რა საქადრისია

გამოყენებით მოეტაცათ.

სიტყვა საქმედ აქციეს. თამაზ ყურაშვილის კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც თვითონ მართავდა, გააჩერეს ცენტრალურ მოედანზე და როგორც კი ჩამოდგა ავტობუსი დღის 15 საათზე, დღისით, მზისით ყველას თვალწინ სტაცეს ხელი მ. ხეცურიანს და ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში. იგი მიიყვანეს ... ხონის რაიონში პ. კოპალიანის ბაბუასთან. შინ-გან საქმეთა რაიონული განყოფილების ... ... დააბრუნეს ... და ... საბრალდებო საქმე.

ამ დღეებში ცაგერის სახალხო სასამართლომ განიხილა პეტრე კოპალიანის, ტარიელ და არველოდ ბენდელიანების, თამაზ ყურაშვილის დანაშაულებრივი საქმე და ცნო რა ისინი დამნაშავედ, პეტრე ვლადიმერის ძე კოპალიანს, ტარიელ კაკოს ძე ბენდელიანს და თამაზ ნიკოს ძე ყურაშვილს მიუსაჯა გამასწორებელი სამუშაოები თითო წლის ვადით ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასჯელის თავის სამუშაო ადგილზე მოხდით. ხოლო არველოდ აბესალომის ძე ბენდელიანს როგორც ნასამართლევს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის და 15 დღის ვადით სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ანაბრების ახალი სახეები

სსრ კავშირის შემნახველმა ბანკმა მოსახლეობას შესთავაზა პირადი დანაზოგების შენახვის ხელსაყრელი ფორმა. მაისიდან შემოღებულია ორი ახალი სახე ანაბრისა გადადებულპროცენტიანი განაკვეთით.

ამის შესახებ გვესაუბრება სსრ კავშირის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. ნახმანოვიჩი:

—ახლებური შენახვის პირველი სახეა სახელშეკრულებო ანაბარი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო დაწესებულების ანგარიშზე შეაქვთ არანაკლებ 500 მანეთი ხუთი წლით და უფრო მეტი ხნით. მისი შენახვის განმავლობაში მეანაბრეს წელიწადში ერიცხება ოთხი პროცენტი. რაც შეეხება ანაბრის მეორე სახეს—ეგრეთ წოდებულ „დაგროვებითს“, იგი გათვალისწინებულია მინიმუმ ათი წლით. პირობის შესაბამისად კლიენტმა ყოველთვიურად უნდა შეიტანოს გარკვეული ფულადი თანხა, რომელზედაც ერიცხება წლიური შემოსავლის ოთხი პროცენტი.

როგორც ვხედავთ, ბანკის კლიენტისათვის ეს მეტად სახეიროა: ჩვეულებრივი ანაბრის ორი პროცენტის მაგიერ და ვადიანი ანაბრის სამი პროცენტის მაგიერ—ისინი წლიურად ოთხ პროცენტს იღებენ. მაგალითად, სახელშეკრულებო ანაბრის დროს ხუთი წლის შემდეგ ყოველ ათას მანეთზე ერიცხება 216 მანეთი და 56 კაპიკი შემოსავალი.

—მაგრამ თუ მეანაბრე ვადაზე ადრე დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს?

ამ შემთხვევაში იგი მიიღებს ანგარიშზე არსებულ თანხას, ამასთან მას დაურიცხავენ ერთ პროცენტს სახელშეკრულებო ანაბრის დროს, და ორ პროცენტს—დაგროვებითი ანაბრის დროს. ასე რომ, კლიენტისათვის უფრო სასარგებლოა თუ შეთანხმებულ ვადებს დაიცავს.

(საკდესი).

პლანეტის გამოკვლევისათვის

ნიუ-იორკი. ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ახალი კოსმოსური რობოტის პროტოტიპის მუშაობის პირველი „სვლის გამოცდა“. ეს მოწყობილობა, რომელზეც 1987 წლიდან მუშაობენ, გათვალისწინებულია სხვა პლანეტების გამოსაკვლევად. მართალია, რობოტს პირველი ნაბიჯები მარსის ზედაპირზე არ გადაუდგამს, არამედ პიტსბურგის კარნეგი—მელონის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც იგი დააპროექტეს. აპარატი ალუმინისაგან არის დამზადებული, მისი სიმაღლე დაახლოებით 4 მეტრია. თავიანთ შვილობილს მეცნიერებმა „ემბლერი“ („იორღა“) დაარქვეს.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

და ქენია, ძმები შოთა, ნოდარი, დისშვილები გურამი, აზა, ჩიტო, ძმისშვილები ომარი, თემური, ბელა, ნატო, რძლები საშა, მერი, სიძეები, დისშვილიშვილები, ძმისშვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თალიკო ვანოს ასული შკუბულიანი.

დაკრძალვა 11 აგვისტოს, შაბათს, ქ. ცაგერში.

გრიშა, მიხა შკუბულიანები, ალიოშა სალინაძე, სულიკო ხვადაგიანი, ოტელო მდივანი, ნოდარ ხეცურიანი, გელა ბენდელიანი, მიშა ონიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თალიკო შკუბულიანი.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სეით ქომეთიანს მამიდის

ნელი ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

№1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო კოპალიანს მამის

ბიჭიკო ელიზბარის ძე კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1973 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ რუსუდან კოპალიანს მამის

ბიჭიკო კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

წმინდა ილია მართლის ლეჩხუმის საზოგადოება თანაუგრძნობს ნუნუ ახვლედიანს მამიდის

თამარ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ბანძელაძეს მამიდის

ლენა პლატონის ასულ ბანძელაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66529, შეკვეთა 97 ტირაჟი 3000

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.